

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 8 დეკემბრის

დადგენილება №1347

2014-2015 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში

სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის

სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 1 დეკემბრის N1335 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებისათვის 2014 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო 692 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2013-2014 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:
 - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის, იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81% და მეტს;
 - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადანაწილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.
5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიყვანოს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
აკადემიური საბჭოს მდივანი

ა. ფრანგიშვილი
გ. სალუქვაძე

